ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინტელექტი

მიგრანტი

ჩანართს გამოსცემს
ახალგაზრდა მეცნიერთა
კავშირი „ინტელექტი“.

№26,27 / 2017

წარმატებული ბენეფიციარები

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით აჭარაში მცხოვრები ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტებისთვის ახორციელებდა პროექტს „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“. პროექტს პარტნიორობას უწევდა დემოკრატიის ინსტიტუტი და ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია „ღირსეული სიბერე“.

ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ჩანართის რედაქტორი: სალომე აბულაძე

მისამართი: ბათუმი, ფირუსმანის № 18
ტელ.: 24 16 40; ფაქსი: 24 16 50
მობ: 592 57 18 00
ელფოსტა: info@intellect.ge
ვებგვერდი: intellect.ge

„ინტელექტის“ ორწლიანი პროექტის შედეგები

დასრულდა პროექტი - „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ გუნდი ორწლიანი მუშაობის შედეგებს ითვლის:

- ✓ 19 დაფინანსებული მცირე ბიზნესი;
- ✓ 2 დაფინანსებული სოციალური საწარმო;
- ✓ 183 დახელოვნებული მიგრანტი 100%-იანი სასწავლო გრანტით;
- ✓ 200-ზე მეტი გაწეული იურიდიული კონსულტაცია და სამართლებრივი დახმარება;
- ✓ 74 საჯარო ლექცია შრომითი მიგრაციის საკითხებზე და 2 164 მონაწილე.

ეს პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგების არასრული ჩამონათვალია. „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“, რომელიც „ინტელექტის“ გუნდმა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა, მიზნად ისახავდა აჭარის რეგიონში დაბრუნებული, პოტენციური და ეკომიგრანტებისთვის გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ცხოვრების ღირსეული პირობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

პროექტის ამოცანები იყო:

- აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში არსებულ სოციალურ სახლებში მცხოვრები ეკომიგრანტების ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერების მექანიზმების შემუშავება და იმპლემენტაცია;
- მიგრანტების სტიქიური ჩასახლების ადგილებში ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბება, მათი რესოციალიზაციის ხელშეწყობა;
- დაბრუნებული და პოტენციური მიგრანტების (მათ შორის ქალების), ისეთი ჯგუფების მხარდაჭერა, რომლებსაც აქვთ სურვილი და შესაძლებლობა დაიწყონ ბიზნესი საქართველოში, ჩაერთონ თავიანთი მუნიციპალიტეტებისა და რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესებში.

თეონა კაკაციძე, თემის მობილიზატორი: „განვლილი ორი წელი, რომელიც „ინტელექტის“ გუნდმა ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას – მცირე ბიზნესის განვითარებას, მათ რესოციალიზაციას, კომპეტენციის ამაღლებას, პროფესიულ განვითარებას მიუძღვნა, იყო რთული და დაბრკოლებებით სავსე, თუმცა ძალიან საინტერესო.

ეს ორი წელი, შეიძლება ითქვას, თითოეულმა ჩვენგანმა მიგრანტების გვერდით გაატარა: ჩვენ მათთან არა მარტო სამუშაო ვიზიტით მივდიოდით, არამედ ვცხოვრობდით კიდეც, რათა მათი სატკივარი გვეგრძნო ისე, როგორც საკუთარი.

მიმაჩნია, რომ პროექტი „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ იყო დიდი წარმატებების პროექტი. ამ პროექტის საშუალებით ჩვენ აჭარის რეგიონში სოციალური საწარმოების ჩამოყალიბების პრეცედენტი შევქმენით. პირველი სოციალური საწარმო ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ სახლთან ჩამოყალიბდა და იქ მცხოვრებ ხუთ ქალბატონს აერთიანებს. მალე ბაზარზე „ოქროს მაკრატლის“ (ასე ჰქვია ქედის სოციალურ სამკერვალო საწარმოს) მიერ წარმოებული პროდუქცია გამოჩნდება. ვიმედოვნებ, მომხმარებელი მიიღებს მას და კმაყოფილიც დარჩება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროექტის ფარგლებში, ე.წ. „ოცნების ქალაქში“ მიგრანტთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ოცნების ქალაქი“ დაფუძნდა. იგი მიგრანტთა უფლებებს დაიცავს და „ოცნების ქალაქში“ სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებაზე იმუშავებს. ახალდაფუძნებული ორგანიზაციის ერთ-ერთი პრიორიტეტი ბავშვთა და ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა იქნება.

პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი შრომითი მიგრანტების ცნობიერების ამაღლება იყო. „ინტელექტის“ იურისტმა, გიორგი სურმანიძემ, სპეციალურად შრომითი მიგრანტებისათვის მოამზადა ლექცია „თურქეთის რესპუბლიკაში შრომითი მიგრანტების უფლებათა დაცვის მექანიზმები“, რომელსაც თემებში საჯაროდ განიხილავდა. ლეგალური და არალეგალური შრომითი მი-



იმედა კორძაია

ლევან შარაშიძე

ლევან დიასამიძე

თეა ნუცუბიძე



ზვიად მახარაძე

გრაციის საკითხებზე მოსახლეობის ინტერესი მაღალი იყო, რის გამოც პროექტით გათვალისწინებული 63 (თემში თითო საჯარო ლექცია) შეხვედრის ნაცვლად დამატებით 11 შეხვედრა ჩავატარეთ (სულ 74). მოსახლეობა უფრო აქტიური მაღალმთიან აჭარაში იყო. „თურქეთის რესპუბლიკაში შრომითი მიგრანტების უფლებათა დაცვის მექანიზმებზე“ გამართულ საჯარო ლექციას სულ 2164 მოქალაქე დაესწრო.

და ბოლოს, მინდა მადლობა ვუთხრა ყველა უწყებას და მოქალაქეს, ვინც გვერდით გვედგა ამ, საკმაოდ რთული პროექტის განხორციელებისას, წარმატებები მათ, ვინც „ინტელექტისგან“ ბიზნესგრანტი მიიღო და დასაქმება პროფესიული სწავლების მონაწილეებს!“

მარი პაპუნიძე, ექსპერტი კვლევის საკითხებში: „პროექტის ფარგლებში ჩატარდა შრომის ბაზრის კვლევა, როგორც ქალაქებში – ბათუმსა და ქობულეთში, ასევე თურქეთის რესპუბლიკაში. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა დაახლოებით ოცი მოთხოვნადი სპეციალობა. „ინტელექტმა“ კვლევის შედეგების საფუძველზე მიგრანტ ბენეფიციარებს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი სპეციალობები შესთავაზა 100%-იანი დაფინანსებით.“

სოფო ნაკაშიძე, განათლების მეთოდისტი: „პროფესიული სწავლების პროგრამის ფარგლებში „ინტელექტს“ 183 (შემოვიდა 399 განაცხადი) კურსდამთავრებული ჰყავს – კონდიტრები, მზარეულები, სტილისტები, ბუღალტრები, ელექტრიკოსები, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტები, ბარმენები, მძიმე ტექნიკის ოპერატორები და ა. შ. მათ შორის 109 ქალია (38 ხანდაზმული).

ორი წლის განმავლობაში გვერდით გვედგნენ პროფესიული კოლეჯების – „ახალი ტალღისა“ და „ბლექსის“ ხელმძღვანელები და პედაგოგები, პარტნიორი ორგანიზაციის – ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია „ღირსეული სიბერის“ წარმომადგენელი ნატა მიქელაძე, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მათ.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ კურსდამთავრებულების ნაწილი, პროფესიული მომზადება/გადამზადების კურსების გავლის შემდეგ დასაქმდა. ამ ნაბიჯით „ინტელექტმა“ ხელი შეუწყო როგორც ახალგაზრდების, ისე ასაკოვანი ადამიანების პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებასა და დასაქმებას.

იმედი მაქვს, პროფესიული განათლება დაეხმარება მიგრანტ ბენეფიციარებს, როგორც დასაქმებაში, ისე ღირსეული სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. მათ მი-

ერ არჩეული პროფესიები პირდაპირ კავშირშია ლეგალურ დასაქმებასთან და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან“.

დავით არძენაძე, ეკონომისტი: პროექტ „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესების აჭარის რეგიონში “ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მცირე საწარმოების ჩამოყალიბებისა და განვითარების ქვეპროგრამა იყო. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა აჭარის რეგიონში მცხოვრები ეკოლოგიური და შრომითი მიგრანტებისთვის მცირე საწარმოების ჩამოყალიბება, მათთვის საარსებო რესურსების შექმნა, სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულებისა თუ საზღვარგარეთ შრომითი მიგრაციის საჭიროების შემცირება.

მცირე საწარმოების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროგრამის ფარგლებში 182 ბიზნესიდეის განაცხადი შემოვიდა. დაფინანსებულია 19 ბიზნესგეგმა. 5 განაცხადი შემოიტანეს სოციალურ სახლებში მცხოვრებმა მიგრანტებმა, სოციალური საწარმოების ჩამოყალიბების მოთხოვნით. მათგან დაფინანსება ორმა მიიღო.

პროექტის ფარგლებში სხვადასხვა მიმართულება დაფინანსდა: საკონდიტრო, სწრაფი კვების ობიექტი, საფუტკრე მეურნეობა, უცხო ენების სწავლების ცენტრი, პურ-ფუნთუშეულის საცხობი, ხელოსნებით მომსახურების ცენტრი, სილამაზის სალონი, ავტოსახელოსნო და ა.შ. დაფინანსებული სოციალური საწარმოებიდან კი ერთი საფუტკრე მეურნეობაა, რომელიც, ძირითადად, ფუტკრის რძის წარმოებაზე იქნება ორიენტირებული, ხოლო მეორე – სამკერვალო-საწარმო.

„ინტელექტის“ მიერ დაფინანსებული ყველა ბიზნესი წარმატებით ფუნქციონირებს. ერთ-ერთმა ბენეფიციარმა, ნარგიზ დუმბაძემ, რომელსაც საოჯახო სასტუმროს განვითარება დავუფინანსეთ ქობულეთში, სოფელ სახალვაშოში, საუკეთესო მეწარმე ქალის წოდება მიიღო.

„ინტელექტის“ გუნდმა პროექტის ფარგლებში – „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“, რეკომენდაციები შეიმუშავა და აჭარის მთავრობას წარუდგენს. ■

ქედის სამკერვალო საწარმო „ოქროს მაკრატელი“



მევლუდ ქოქოლაძე

როლანდ ქათამაძე